საქართ. შრომ. ხალ.-ფედ. ხარეგ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ნონპარელი
4 „ 150,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 484 პარასკევი, ივნისის 1 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუღლე ნინო სამსონის ასული ნარაკიძე ლოლობერიძისა, დედამთილი ნატალია დავითის ასული და ცოლის-და მარია სამსონის ასული ნარაკიძე, მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი უძვირფასესი

ვალოდია (ვლადიმერი) გიორგის ძის ლოლობერიძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა დანიშნულია პარასკევს 1 ივნისს დღის 4 საათზედ ქ. ფოთის სასაფლაოზედ.

1—1

## კულტურულ მუშაობისათვის

უვიცობა, სიბნელე, გაუნათლებლობა რევოლიუციის უდიდესი მტერია. შეგნებული ბრძოლის გზა მიგვიყვანს მხოლოდ საბოლოო გამარჯვების კარამდე. მშრომელ მასსას ნათლად უნდა ქონდეს გათვალისწინებული ის მიზანი და გეგმები, რომლის განადგებისათვის საბრძოლველად მოუწოდებენ მას. მხოლოდ თანაგრძნობით. ან პასიურ დამოკიდებლობით შეუძლებელია რევოლიუციონურ მოძრაობის ლოღიკურ დასკვნამდე მიყვანა.

გაბატონებული კლასები მუშათა კლასის გაუნათლებლობის ჰაობში ჩაღრჩობის ცდაში არიან. ბურჟუაზია მარტო იარაღით არ ებრძვის პროლეტარიატს. იგი ებრძვის მას აგრეთვე მუშათა წრეებში განათლების სხივების შეუნათებლობით. უვიცი, გაუნათლებელი მასსა საიმედო იარაღია, უბრალო ობიექტი, ბურჟუაზიის ხელში.

მშრომელი ხალხის ცხოვრება ტანჯვა-ვაების ისტორიაა. მუქთა-ხორები, თავად-აზნაურები, ბურჟუა-კაპიტალისტები და მრავალი მსგავსი პარაზიტული ელემენტები საუკუნოების განმავლობაში სწუწნიან მუშათა შრომას. გაბატონებული წრეების დღეგრძელობა ჩაგრულთა უკულტუროსნობაზეა დამყარებული.

ბურჟუაზია ათასნაირ ხერხებს მიმართავს ღარიბთა დასაფლავებისათვის გაუნათლებლობის წინაშე. იყო დრო, როდესაც კანონით აკრძალული ქონდა მშრომელ ხალხის შვილებს წერა-კითხვის შესწავლა და ამის საშუალებით ცხოვრების უკულმართობის აზრის შეთვისება. მაგრამ ულმობელი და მკაცრი გამოდგა ისტორიული ვითარების სტიქია. მშრომელ მასის ქოხებში თანდათან შეიჭრა განათლების სხივები. ამ მოვლენასთან უსუსური გამოდგა „ამა ქვეყნის ძლიერთა“ სულისკვეთების.

გაბატონებულმა კლასებმა ახალ საშუალებას მიმართეს. ეგ „უებარი წამალი“ რელიგია, სარწმუნოება იყო. ბურჟუაზიამ ქრისტიანიზმს გამოაცალა რევოლიუციონური მომენტები და კონტრ-რევოლიუციონური სარწმუნოების ყაიდაზე შეადგა მშრომელი მასსის აღზრდა-განვითარებას. სამღვდელოებამ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა კაპიტალისტებისა და მეფეების წინაშე.

ძველი რეჟიმი ცრუმორწმუნოებით კვებავდა მასსებს. მისი ბატონობის ბრჭყალები კაჟდებოდა კიდევაც.

რევოლიუციამ ძირ-ბუდიანად შეატრიალა მდგომარეობა. კულტურულ ფრონტზე მუშაობა მან საბრძოლველ ლოზუნგად წამოაყენა, ამის პრაქტიკულ შედეგებს ჩვენ უკვე ვხედავთ საბჭოთა ფედერაციის სინამდვილეში. რევოლიუციონური ლიტერატურა ვრცელდება მშრომელთა წრეებში. აუარებელი სკოლები, სამკითხველოები, თეატრები, „გლეხთა ქოხები“ და მრავალი მსგავსი კულტურული ხასიათის დაწესებულებებით თანდათან იფარება საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრება. სარწმუნოებამ გზა დაუთმო მეცნიერებას, ეკლესიებ-სკოლებსა და პოლიტკლუბებს.

უნდა ითქვას, რომ კულტურულ ასპარეზზე ბრძოლა სერიოზულ რეზულტატებს იძლევა. ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენაა რევოლიუციონურ აღმშენებლობის ვითარებაში. მშრომელი მასსა დაწინაურდა მონებრივად, გათვითცნობიერდა პოლიტიკურად. რევოლიუციის სადარაჯოზე სდგანან არა იძულებით გაგზავნილი დარაჯები, ამამედ სოციალისტური და რევოლიუციონური სულისკვეთებით გაჟღენთილი გმირები.

მშრომელი მასსა, ქალაქის პროლეტარიატი და სოფლის ღარიბი გლეხ-კაცობა ობიექტი კი არ არის თანამედროვე მოძრაობის, არამედ სუბიექტი, სულის ჩამდგმელი და შეგნებული აქტიორი. ამ ფაქტით ვითარდება და მიიწევს წინ სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვების დასრულების საქმე.

ამ წერილში ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ საგულისხმო გარემოებას. ზაფხულის არდადეგები კულტურულ ძალებისაგან ამოქმედებას მოითხოვს. განსაკუთრებით ევალება სოფლის მუშებში კულტურული მუშაობის წარმოება სოფლის მასწავლებლებს, რომლებიც სოფელსა და მის ტკივილებთან ორგანიულად არიან დაკავშირებულნი.

სახალხო მასწავლებლებს უკარნახებს რევოლიუციონური მოვალეობა გლეხ-კაცობაში დატრიალებას. მართალია, დიდი ხანია მუშაობა სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ნიადაგზე. ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში საკმაო რიცხვია განათლების გარეშე დარჩენილი. სოფელი მაინც სავალალო მდგომარეობაშია ამ მხრით ჩავარდნილი.

სპეციალი ორგანოები მუშაობს გლეხობის რიგებიდან გაუნათლებლობის აღმოფხვრის მიმართულებით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მასწავლებლების აქტიურ დახმარება-თანაგრძნობის გარეშე მიზნის მიღწევა მეტად ძნელი საქმეა.

სახალხო სკოლის მასწავლებელი, რომელიც იზიარებს მშრომელი ხალხის ჭირ-ვარამს, სდგას რევოლიუციის ნიადაგზე და ებრძვის ბურჟუაზიულ ელემენტებს, უსათუოდ არ დაჯდება გულზე ხელდაკრეფილი და მუშათა უბნებისაკენ გაეშურება.

## ერთი საშუალება

ჩვენი ბონების ღირებულება თანდითან ენცემა, რაც მეტად მძიმე პირობებში აგდებს მუშა-მოსამსახურეებს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ოცში მიღებული ჯამაგირი მუშამ უნდა გამოიზოგოს და ნაწილ-ნაწილ ხარჯოს მეორე ოცამდი, ე. ი. მთელი თვის განმავლობაში. მიღებული ჯამაგირის ღირებულება კი ამ ხნის განმავლობაში თანდათან კლებულობს და თვის ბოლოს თითქმის ნახევრდება. მუშა ყოველ დღე ხარჯავს ჯამაგირის ნაწილს და დაუხარჯავი ნაწილი კი თავის-თავად კლებულობს. ასე, მაგ. ჯამაგირის მიღების მეორე დღეს რომ საჭირო ნივთებს იყიდდა მუშა, ვსთქვათ, ერთ მილიონად,—ერთი კვირის შემდეგ ამდენს ველარ იშოვის იმავე მილიონად. სიმართლესთან ახლოს იქნება, ვფიქრობ, თუ მივიღებთ, რომ საშუალოდ მუშის ჯამაგირს აკლდება 25 პროც. ბონის გაიაფებით ბაზარზედ. ჯერ ისედაც მცირე ხელფასი ეძლევა მუშა-მოსამსახურეებს, მაგრამ რასაც ღებულობენ არც ისაა უზრუნველყოფილი და მეოთხედი მაინც ხელიდან ეპარებათ. ასე რომ ვინც, ვსთქვათ, 40 მილიონი მიიღო, ის აქედან მხოლოდ 30 მილიონით სარგებლობს. ათი მილიონი კი სადღაც ქრება.

ამიტომ მოსამსახურეები ცდილობენ მიღებული ჯამაგირით შეიძინონ ღირები. შემდეგ ახურდავებენ თვის განმავლობაში და ხარჯავენ. აქედან ღირებზე მოთხოვნილების და ფასების ზრდა, რაც უფრო სცემს ბონების ღირებულებას. რასაკვირველია ამას ყველა ვერ ახერხებს და დიდი უმეტესობა მუშა-მოსამსახურეებისა ჰკარგავს ჯამაგირის საგრძნობ ნაწილს.

ამ მოვლენის სავსებით თუ არა, ნაწილობრივ მაინც, თავიდან აშორება შეუძლია კოოპერატივს, ე. ი. კოოპერატივებს შეუძლია ჯამაგირების სტაბილიზაცია **კოოპერატიული ბონების საშუალებით.** კოოპერატიული ბონები ახალი საშუალება არ არის. მას დღნედინაც მიმართავდენ კოოპერატივები, მაგრამ სულ სხვა მიზნით: წევრთა მისამაგრებლად. ამავე დროს ეს იყო უპროცენტო სესხიც და ზრდიდა საბრუნავ თანხას. კოოპერატივის წევრი იძენდა ერთდროულად 10—15 მანეთის ბონებს და შემდეგ ამ ბონებით ყიდულობდა კოოპერატივიდან საჭირო საქონელს. ასეთი წესი უმთავრესად კოოპერატივისათვის იყო დიდად სასარგებლო: ზრდიდა საბრუნავ თანხას და ამავე დროს ჩაჭერილი ჰყავდა მომხმარებელი, ვინაიდან კოოპერატიულ ბონებს მხოლოდ კოოპერატივებში ჰქონდა გასავალი. თვით მომხმარებელნ კი ეს წესი არავითარ უშუალო შეღავათს არ აძლევდა. ამიტომ კოოპერატიული ბონები არ გავრცელდა საყოველთაოდ.

ჩვენს პირობებში კი კოოპერატიულ ბონებს შეიძლება სულ სხვა დანიშნულება მიეცეს და სხვა შედეგები მოვატანინოთ, ამისათვიმ საკმარისია და შესაძლებელიც კოოპერატივმა (ცენტრმა) გამოუშვას **საქონლით უზრუნველყოფილი ბონები.** ამ შემთხვევაში კოოპერატიული ბონები ღირებულებას იმდენად არ დაჰკარგავს და უსათოოდ შეინარჩუნებს მეტ სტაბილურ მდგომარეობას. მუშა მიიღებს თუ არა ჯამაგირს, მიდის კოოპერატივში და იძენს ბონებს, რომელზედაც აღინიშნება ამ დღეს არსებული საქონლის მანეთის კურსი. კოოპერატივი კი ამ გზით დაგროვილ ფულის ნიშნებს დაუყონებლივ აქცევს საქონლად.

ამ წესით კოოპერატიული ბონი ღებულობს ნაბარებითი ბარათის თსისებას. მაგ. მუშამ შეიძინა 20 მილიონის ბონები. ეს ნიშნავს, რომ მან იყიდა 20 მილიონი მან. საქონელი ამ დღეს არსებულ კურსზედ და მიაბარა კოოპერატივს, შესანახად, რაშიდაც მიიღო ნაბარების ბარათი ბონების სახით. შემდეგ მას ნაწილ-ნაწილ მოაქვს მიბარებული საქონელი და კოოპერატივს უბრუნებს ბონებს. ცხადია, ამ წესით ბონებს ღირებულება არ დაეკარგება განაღდებამდე. მაშ ამ საშუალებით მოსახერხებელია ყოველმა მუშამ და მოსამსახურემ უზრუნველჰყოს აღებულ ჯამაგირის ღირებულება.

ვინაიდან ასეთი წესი დიდ სარგებლობას მოუტანს მომხმარებელს—აცილებს ჯამაგირის 25 პროც. გაიაფებას—ამიტომ ეს წესი უეჭველად სწრაფად გავრცელდება და მიიღებს საყოველთაო ხასიათს. კოოპერატივის საბრუნავ თანხასაც გაამრავალკეცებს.

რასაკვირველია, ყოველივე ამისათვის საჭიროა კოოპერატივებმა მოიმარაგონ საკმაო სურსათ-სანოვაგე, რისთვისაც მას დასჭირდება სახელმწიფოს დახმარება. აგრეთვე ეს წესი იგულისხმებს, რომ კოოპერატივებს ექნებათ, ყველაფერი თუ არა, მთავარი და უმეტე სობა მაინც მოსახმარ საგანთა. არც ერთი ეს არ არის შეუძლებელი.

მე მიუთითე საშუალებაზედ და ვფიქრობ, ნათელყავი მისი განხორციელების შესაძლებლობა. როგორ და რა გზით,—ამის დეტალურად გამორკვევა კოოპერატივების საქმეა.

ო.

## რადიო-დეპეშები

### რურის ამბები.

**ბერლინი.** 26 მაისი. გაფიცვები რურში იზრდება და ოლქის დასავლეთ ნაწილსაც მოედვა. გაფიცულია ორ მილიონამდე მაღაროს მუშა, ათეული ათასი ლითონზე მომუშავე და ხე-ტყის წარმოების მუშები.

ბოხუმში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები, რადგან ცეცხლის მქრობელმა რაზმმა უარი უთხრა მუშებს განიარაღებაზე. შეტაკების დროს მოკლეს ორი კაცი, დაიჭრა 30.

შეტაკებები პოლიციასთან მოხდა აგრეთვე დორტმუნდში და კასტროპში.

დიუსელდორფის ადმინისტრაციამ სთხოვა გენერალ დევილს ნება დართოს სამრეწველო რაიონებში პოლიციის გაგზავნაზე. თხოვნაში ნათქვამია, რომ გერმანიის ჯარის სარდლობა 1871 წელს საიამოვნებით დაეხმარა საფრანგეთის ხელისუფლებას პარიზის კომუნის წინააღმდეგ.

„როტე-ფანე“ ეხება რა აჯანყებულ რაიონებში შეიარაღებულ რაზმების გაგზავნას, ხედავს ამაში რურის მუშების სისხლში ჩაღრჩობის დასაწყისს.

**ბერლინი.** 26 მაისი. მთავრობის მუქარაზე, რომ მიიღებს მკაცრ ზომებს კომპარტიის წინააღმდეგ და სისხლის აბანოს მოუწყობს რურის მუშებს, კომპარტიამ უპასუხა კონტრ-მუქარით. კომუნისტური პარტია დაემუქრა მთავრობას, რომ გამოააშკარავებს მთავრობის მიერ აჯანყების პროვოკატორულად მომზადებას. კომპარტია მოუწოდებს არ გასცილდენ მშვიდობიანი გაფიცვის ფარგლებს.

**ბერლინი.** 28 მაისი. რურში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. გაფიცვები გრძელდება. ბევრ ადგილებში მუშათა რაზმებს შეტაკება მოუხდა პოლიციასთან და ბურჟუაზიის თავდაცვის რაზმებთან. ბოხუმში შეტაკების დროს მოკლეს 18 კაცი. დაიჭრა—80. ბევრ რაიონებში საფრანგეთის ოფიცრები ეხმარებიან გერმანიის პოლიციას კომუნისტებთან ბრძოლის დროს.

ვანნში საოკუპაციო მთავრობამ დაშალა მუშების დემონსტრაცია. დორტმუნდში და ბილზენკრიხენში დაატუსაღეს ფრანგი ჯარისკაცები, რომლებიც მუშებს ეხმარებოდნენ.

**ბერლინი.** 28 მაისი. გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ბიურომ მოწოდებით მიმართა რურის მუშებს. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ძარცვა-გლეჯა ესენში და გილზენკირხენში ფაშისტ-პროვოკატორების საქმეა. „რურის მუშები იბრძვიან მხოლოდ თავისი არსებობისათვის, მათ კარგად ესმით, რომ ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლების მოსაპოებლად მათ მარტო არ შეუძლიათ“.—ასე თავდება მოწოდება.

### რუსეთი და ინგლისი.

**ლონდონი.** 28 მაისი. ლივერპულში, ნიუკასტელში და სხვა ადგილებში მოეწყო მუშათა „მოქმედების საბჭოები“.

**ლონდონი.** 29 მაისი. დღეს კრასინი თითქმის 2 საათის განმავლობაში არჩევდა კერზონთან ერთად ინგლის-რუსეთის კონფლიქტს. თუმცა-ღა ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს არ გამოუქვეყნებია არავითარი განცხადება, მაგრამ ფიქრობენ, რომ კრასინს ეცნობება პასუხი რუსეთის ნოტაზე, ალბად, ხვალ ან ზეგ.

**ლონდონი.** 28 მაისი, „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ გაზეთის მიერ სხვა და სხვა მუშათა ორგანიზაციიდან მიღებულ რეზოლიუციების რაოდენობა, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ რუსეთისადმი დამუქრების წინააღმდეგ და მოითხოვენ მის ცნობას, ის განუსაზღვრელია, რომ თვით დასახიჩრებულ ორგანიზაციების რასაც ვერ დაიტევდა გაზეთი.

## ახალი ამბები

— **უმუშევარნი.** 30 მაისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 248. აქედან ქალი 65, კაცი—183, ჩაეწერნენ ახალი უმუშევარნი 104. გაიგზავნა სამუშაოზე 57, აქედან ქალი 98, დანარჩენი მამაკაცი.

— **უმუშევრების შესახებ.** შრომის კომისარიატის რწმ. სამმართველოს კოლეგიის დადგენილებით შვებულებაში გაშვებულან ავადმყოფ მუშა-მოსამსახურის ადგილზე დროებით მოწვეულ უმუშევარს, ენახება თავის რიგი შრომის ბირჟაში.

— **შრომის ინსპექციის დახურვა.** შრომის სახ. კომ. რწმუნებულმა საქართველოში, გასცა ბრძანება ზუგდიდში, ახალქალაქში და დუშეთში სამაზრო და ზესტაფონში სარაიონო შრომის ინსპექციების დახურვის შესახებ 1 ივნისიდან.

— **გვამის პოვნა.** 30 მაისს დილით, მე-11 მილიციის მუშათა უბანში, აგურის ქარხნის ეზოში იპოვეს ვინმე „ფ. ალანოვის“ გვამი. გამოძიებამ გამოარკვია რომ მკვლელობა მომხდარა სხვა ადგილას, ხოლო გვამი მოტანილია აღნიშნულ ადგილას 29 მაისს ღამით. მოკლული არის მუსულმანი დაახლოვებით 23—25 წლის.

— **ტრამვაის აღდგენა.** კომუნალურმა განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა ტფილისის აღმასკომის წინაშე, რათა მან გაიღოს სესხი 1 მილიონი მანეთის ოქროთი ქალაქის ტრამვაის სრული აღსადგენათ, ვინაიდგან ტრამვაის ვაგონების მეტი ნაწილი დაძველებულია და მოითხოვს დიდ შეკეთებას.

— **კრედიტი რკინისგზელთათვის.** ამიერ-კავკასიის მომხმარებელმა სატრანსპორტო კავშირის გამგეობამ გამოიმუშავა პროექტი იმ კრედიტისა, რომელიც უნდა მიეცეთ რკინისგზის მუშა-მოსამსახურეებს. პროექტი გადაცემულია რკინის გზელთა პროფკავშირში.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები..** საქართველოს რესპუბლიკის მიწად-მოქმედების კომისარიატმა მიიღო საზღვარ-გარეთიდან სასოფლო-სამეურნეო აუარებელი იარაღი და მანქანები აგრეთვე მშრალი ქიმიკური საგუბავები. კომისარიატი ჰყიდის აღნიშნულ იარაღებს შეღავათ ფასებში.

— **ბირჟა.** ოფიციალური კურსი 31 მაისისა—საბჭოთა ნიშნები—19 და ერთი მეოთ.; ჩერვონეცი 11.300.000; გირვანქა სტერლინგი ეფექტივი—14.950.000; ჩეკი—12.850.000; დოლარი ეფექტივი—3.425.000; ჩეკი—3.100.000; ოსმალური ქაღალდის ლირა 2.000.000; ფრანკი 165.000, იტალიური ლირა 125.000 მანეთი ამიერ-კავკასიის ბონებით.

— **საქონლის ბირჟის ცნობა.** 31 მაისში ბირჟის მდგომარეობა ნაკლებათ აქტიურია: შაქარზე, მანუფაქტურაზე და ფქვილზე ნაკლები მოთხოვნილებაა. დანარჩენზე კი უცვლელია. ვულინის მარილი გაიყიდა 1.000.000 მან. ფუთზე ფრანკო—სკლადი გამყიდველზე.

— **მოთხოვნილება.** რკინის, ფეხსაცმლის, ბრეზენტის, ცხვრის წელების, ფქვილის 1 ხარისხისა, ს ოხუმის და ლაგოდეხის თამბაქოს ფურცლებით,

ეროვნული

ნავთალინისა, პარაფინისა, სასოფლო-სამეურნეო იარაღისა, ლურსმებისა, რკინეულობისა და სხვა.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** კვირას, 3 ივნისს დილის 11 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (სერგის ქუჩა № 13) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც პროფ. ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრების ხელნაწერისა და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების შესახებ“. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

— **შტატების შემცირება.** ქალაქის აღმასკომის დაწესებულებებში ხდება მუშა-მოსამსახურეთა შტატების შემცირება 30 პროცენტით.

— **ბაქოს იარმუკა.** იარმურკა, რომელიც გაიხსნა 20 მაისს ბრწყინვალეთ მიმდინარეობს. აუარებელი საქონელი მოვიდა ცენტრალურ რუსეთიდან, უკრაინიდან, პოლესიდან, ურალიდან, ვოლგის ნაპირებიდან და სპარსეთის მსხვილ ფირმებისაგან.

# საქართველოს წითელ ჯარში

**საზეიმო გახსნა ცენტრარმკლუბის საზაფხულო შენობისა.** შაბათს, 2 ივნისს, ცენტრარმკლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართება საზეიმო სალამო საზაფხულო შენობის გახსნის გამო, შემდეგი შინაარსით:

1. საზეიმო სხდომა, 2. ქართული პიესა „სიკვდილის აჩრდილი“, 3. დივერტისმენტი.

მონაწილეობას ღებულობენ განსაკუთრებით წითელ-არმიელნი.

ამას გარდა ამ სალამოსვე წავა რუსული პიესა „მანიუხინ ჩასოვოი“, ბალში გამართული იქნება პოლიტიკური ლატარეია და აუქციონი.

კინოში აჩვენებენ რევოლიუციონურ სურათს უფასოთ წითელ-არმიელთათვის.

სალამოზე დაშვებულ იქნებიან უფასოთ პროფკავშირის წევრნიც.

პიესებს დგამს ამ. ელიოზ ხუციშვილი, გამგე სალამოსი ადმინისტრაცია.

**დრამატიული წრე.** შესდგა ამავე კლუბთან წითელ-არმიელებისაგან ქართული დრამატიული წრე. წრეში მუშაობს თორმეტი კაცი. რეპერტუარი რევოლიუციონურია, მეცადინეობა ყოველდღიურია, სალამოობით 4—6 საათამდინ.

**წითელ-არმიელნი ინვალიდებს ეხმარებიან.** მესანგრე ასეულის წითელ-არმიელთა და უფშემადგენლდბამ საერთო კრებაზე დაადგინა ინვალიდების დასახმარებლათ ერთდროულათ გადასდოს თავის ულუფიდან სამი პორცია პური და სხვა სურსათ სანოვაგე.

**სამაგალითო სამხკომნი.** დივჰოსპიტალის წითელ-არმიელები, რომლებმაც უკვე დაამთავრეს სამსახურის ვადა მადლობით იხსენიებენ სამნაწილის სამკომს ბერაძეს და ჰოსპიტლის სამკომს კულუმბეკაშვილს, რომლებიც დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ თავის მოვალეობას და წითელ-არმიელებთან ჰქონდათ ნამდვილი მეგობრული კავშირი.

**კულტურული მუშაკი.** დივჰოსპიტლის წითელ-არმიელნი უვადოთ შვებული გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ისინი დიდი მადლიერნი არიან ბიბლიოთეკის გამგის ერმა გორდელაძის მუშაობის გამო, რომელიც მუდამ იდგა ჩვენ გვერდით და დაუღალავ შრომას ეწეოდა ჩვენი პოლიტიკურად კულტურულად აღზრდის საქმეში.

**სამხკორების კონფერენცია.** ამ თვის გასულს წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბის შენობაში შედგება ქართულ მსროლელ დივიზიის ტფილისის ნაწილების სამხკორების საგარნიზონო კონფერენცია.

# ილიკო ნაპაშიძის სხოვნას

დიდი კაცი იყავ, ძმაო ილიკო? დიდი იყავ არა გვარიშვილობით (თუმცა არც ეს გაკლდა), არამედ ნამდვილი კაცური კაცობით, კაცური ადამიანობით... ფილოსოფოსი კანტი (შენც ხომ გიყვარდა მისთანა კაცები-ფილოსოფოსები), იტყოდა ხოლმე: „კაცი ის არის, ვინც მარად იმის ცდაშია, რომ ძირ-ფესვიანად აღმოფხვრას თავის „მე“-ში ყოველი ნაშთი იმ პირველ ყოფილ ადამიანის ველურობისა და მხეცობისა, რომელიც ჯერაც მაგრათა და ღრმათა ზის ადამიანებშიო“! და, აი, შენში ვხედავდი მე მუდამ ამ დიდებული კაცის ნათქვამის განსახიებას!..

დიახ, შენ, არამც თუ მარტო ძირ-ფესვიანად აღმოფხვერ შენში პირველყოფილი ადამიანის მხეცობა და ველურობა, არამედ უშიშრადაც ქადაგებდი ძმობას, ერთობას არა თუ მარტო ჩვენს შორის, არამედ ყველა ხალხებს შორისაც..,

მშვიდობით, ძმაო! მოისვენე ჩვენს საერთო აკვანში... საუკუნო იყოს შენი ხსენება ჩვენს შორის, შენს საყვარელ საქართველოში. სუბუქი იყოს მისი შავი მიწა შენთვის!...

**ივანე როსტომაშვილი**

# „გიმნაზიელის დღიური“*)

**(კოწია კაპანელი: „სული და იდეა“).**

(გაგრძელება*)

II

ჩვენ, ქართველებს უმთავრესათ ბუნებრივი დიდი ნიჭი, გარეგანი სილამაზე და გამბედაობა გვახასიათებენ. ჩვენი ეს უკანასკნელი თვისება-გამბედაობა—როგორც ყველასში, ისე ჩემშიც ე. ი. ქართველ ქალშიც დიდ განცვიფრებას იწვევს. და დაუკვირდით! ქართველმა ერთათ-ერთი არითმეტიკაც რო შეისწავლოს, მაშინვე თავის თავს ბუღჰალტერათ გამოაცხადებს, ორიოდე ლექსი თუ შექმნა მან ან ამოდენივე ნოველა გინდ უბრალო, უსულგულო ესკიზი—მას უკვე თავი პოეტათ ან ბელეტრისტათ აქვს წარმოდგენილი და, თვით შოთა რუსთაველინ, რომ გაცოცხლდეს, მასაც კი თავს ასე გააცნობს; „პოეტი ესა და ესო“. გაზეთში რომ გინდ სრულიად უბრალო კორესპონდენცია მოათავსოს ქართველმა ახალგაზდამ,—ის უკვე „ჟურნალისტი და პუბლიცისტია“, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა და, თუ მან ორიოდე ფსიხოლოგისა და ფილოსოფოსების სახელები გაიგონა, თანაც ამა თუ იმ წიგნიდან მათი შემოქმედების ამონაწერები წაიკითხა, ის მყისვე „ფილოსოფიურ-ფსიხოლოგიურ-რელიგიურ“ თეორიების შექმნას შეუდგება და ფილოსოფოსის საშათ წარმოიდგენს მუნიან კატას თუ ძაღლს! შეჯდება ზედ და ჩვენს ინტელექტუარულ-ინტუიტიკურ პროსპექტზე „განიერად“ გაინავარდ-გამოინავარდებს წარბ შეუხრელათ.

დიახ, ასეთი გახლავს თანამედროვე ქართველის „გამბედაობა“. და განსაკუთრებით გულსაკლავი და სულის მომშხამელი ის არას, რასაკვირველია, რომ აქ ჭეშმარიტ გამბედაობასა და ჩვენი სახელოვან წინაპართა საარაკო გმირობა.—რაინდობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ—ალვირ-ახსნილ თავხედობასთან. ამ ალვირ-ახსნილი თავხედობამ გაასალახანა ხვენში ჯერ პოეტობა-შემოქმედება, ხელოვნება, შემდეგ—პუმლიცისტობა და ახლა კი ჩვენ ახლად აღორძინებულ მეცნიერებასა და ფილოსოფიურ აზროვნებას უპირებს დასამარებას.

ამ სიტყვების საუკეთესო ილიუსტრაციათ ბ. კაპანელი გამოგვადგება, როგორც შემქნელი „ახალი ფილოსოფიური თეორიისა“. მას როგორც გვარწმუნებენ, საფრანგეთში აქას უმაღლესი განათლება მიღებული. გვინდა დავიჯეროთ რომ ეს ასეა, თუმცა ამის დაჯერეაა მეტად ძნელია. მეტად ძნელია ამის დაჯერება, ვამბობთ, ვინაიდან ეს „ახალი ფილოსოფოსი“, როგორც „ახალი თეორიის“ შემქნელი უმთავრესათ ხასიათდება მისივე „სული და იდეა“-ში, ვითარცა უვიცი ელემენტარულს ფსიხოლოგიასა და ლოღიკაში, არა თუ ფილოსოფიურ სისტემებში.

*) იხ. „ტრიბუნა“ № 482.

კიდევ მეტიც! ამასთანავე. ამ „პიროვნებას“ არც გრამატიკის შესწავლა მიაჩნია საჭიროთ ამა თუ იმ ენის შესასწავლათ. ის რიხითა და ბაქა-ბუქით ბრძანებს: „ვისაც უნდა შეისწავლოს ქართული ენა და ლიტერატურა, უნდა შეისწავლოს რუსთაველი, თმოგველი, ბარათაშვილი, ჭავჭავაძე და არა ხუნდაძის გრამატიკაო“*) ასე აფასებს მოქ. კაპანელი გრამატიკის დიად მნიშვნელობას. და ამის მთქმელი იმდენათ დაბრმავებულა და გონებით დაჩლუნგებულა „ფილოსოფიურ ხელოსნობით“ რომ, როგორც სწორეთ აზროვნება არ ძალუძს, ისე ვერც გრამატიკულისა და სინტაქსიური წესების დაცვას ახერხებს, რის გამო მისს „სული და იდეა“-ს თითქმის ყოველ გვერდზე აკლია ერთ-ერთ სტრიქონს რომელიმე სასვენი ნიშანი და თანაც ხშირათ წინადადებაც ასე „იდეალურათა“ დაწყობილი: „ჩვენ იმედი გვაქვს მიგვითითებენ დეფექტებზე და ცალმხრივად განაპირებული დებულებებზე“... თუ... „დეფექტებსა და ცალმხრივათ განაპირებულ დებულებებზე“... კაპანელო?! კიდევ: „პირის კუთხეების მუსკულების გაფართოება ზიზღის ნიშანია“ **) სილოვანის მიერ შედგენილ გრამატიკის კარგათ შემსწავლელი ამ სიტყვებს, ასე დააწყობდა: „პირის კუთხეების მუსკულთა“ და სხვ. ან ასეთი გამოთქმა: „ძაღლის შვილი ძაღლი იქნება“.***) ჯერ ერთი-ძაღლის შვილის უხეში გინებაა და მეორეც ისა, რომ ასე უნდა გეთქვათ: „ძაღლის ლეკვი ძაღლი იქნება“. ანდა კიდევ ერთი ასეთი მაგალითიც: „სქესთა შორის ზიზღი და მსიდარულობა იგივე რიტმებია ყოვლობის დაუსრულებელი პოემის“****) თუ პოემისა?! უეჭველათ პოემისა, თუ კი კითხვაზე „რისი ან ვისი“ სწორათ პასუხის მიცემა გვსურს. ასეთი შეცდომები, ვიმეორებთ, ყოველს ნაბიჯზე გვხვდება ჩვენი „ფილოსოფოსის“ „სული და იდეა“-ში.

მაგრამ „შეიძლება იგანათლებულ ადამიანს გრამატიული-სინტაქსიური წესები სავსებით დაავიწყდეს და მათი უარყოფამდისაც მივიდეს, ხოლო ის კი ყოვლად მოუხერხებელია, რომ ლოღიკური კანონებიც ჩაწიხლოს და ისე შეეცადოს, ახალი ფილოსოფიური თეორიის შექმნას. დიახ, მოქ. კაპანელის ღრმა რწმენით, ლოღავა აზროვნებაში რეჟისერი კი არაა,-მხოლოდ სტატისტიკა და, როგორც ასეთი, იგი მისაღები ყოფილა თურმე როგორც მეთოდი და ხერხი. აი მათი ფილოსოფიურ მაღალ ალმატებულების სურევებიც:

*) იქვე გვ. 73.

**) იქვე-გვ. 33.

***) იქვე-გვ. 54.

****) იქვე-გვ. 73.

„ლოგიკა მხოლოდ სტატისტია აზროვნების ბუნებაში; აზროვნების ფაქტები კი ალოგიურ ყოვლობას უკავშირდებიან“. ბრძანებს და ასე დაასკვნის. „ლოგიკა (თუ ლოღიკა?!) მისაღებია როგორც მეთოდი, როგორც ხერხი და არა როგორც ნორმა, არა როგორც საზომი“.

აქ სრულ უვიცობას და ელემენტარულ ცნებებათა უქონლობასთან გვაქვს ადგილი. მიტომაც ანბანიდან უნდა დავიწყოთ, რისთვისაც მკითხველთა წინაშე ბოდიშს ვიხდი.

უწინარეს ყოვლისა მოქ. კაპანელს შემდეგი უნდა ავხსნათ: ლოღიკა გაიყოფება ორ ნაწილათ: ელემენტარულ ან აღწერილობითათ და მეთოდოლოგიურათ და, როგორც ასეთი, ის წარმოადგენს ისეთ მედალს, რომლის ერთ მხარეზე სწერია: 'აზროვნება და მეორეზე-ხერხი და მეთოდი. შემდეგ: ლოღიკას მეთოდსა და ხერხს თუ ჩამოცლით-დაგრჩება აზროვნება, უსახო და ქაოსი აზროვნება ე. ი. თქვენი აზროვნების ორეული, მოქ. კაპანელო; მაგრამ თუ ჩვენ მას წავართმევთ აზროვნებას, იმ შემთხვევაში სული შეგვრჩება უსულო და უსხეულო ჩონჩხი. მაშასადამე, ლოღიკის ძვლები ან სიმაგრე ყოფილა მისი მეთოდი და ხერხი და, ვინც ვერ უარყოფს ამ მეთოდსა და ხერხს, ის ვერ გაბედავს სთქვას, რომ ლოღიკა აზროვნების სცენაზე რეჟისერი კი არაა, არამედ სტატისტი; ან ბრძოლის ველზე ის კი არ სარდლობს, არამედ ჯარისკაცობს, ანდა ორგანიზმი ის იგივე კი არაა, რაც თავის ქალა, არამედ—ნერვიანი მუსკულიო.

აი. ეს ასე გახლავს, ბ. „ფილოსოფოსო“. და რაკი ეს სწორეთ ასეა, ამით თქვენი სიტყვები, რომ: „ჩვენთვის ლოღიკა მხოლოდ ერთგვარი დაკვირვების სისტემაა, როგორც გრამატიკა: ლოგიკა აკვირდება შემეცნების ბუნებას, გრამატიკა კი ენის ბუნებას; ლოგიკის ცოდნა ადამიანს არ შველის შეცდომებში“ *) და სხვ. თავიდან ბოლომდის სიყალბე და შეცდომაა ისე, როგორც თქვენი შეხედულება ლოღიკის მნიშვნელობაზეც.

დიახ, თქვენ, მოქ. კაპანელო, ასე ბრძანებთ: „საშუალო საუკუნოების (თუ საუკუნეებში?!**) ინკვიზიციებისა და ინტელექტუარულ კარჩაკეტილობას (თუ კარჩაკეტილებას?!)***) ლოგიკა ხელს უწყობდა; ყოველგვარ ჯგუფურსა და კუთხურ განაპირებას ლოღიკით ასაბუთებენ; ლოღიკამ აწამა ქრისტე, სოკრატე, ბრუნო, გალილე; ლოღიკით ხელმძღვანელობენ დიპლომატიური ზანტაჟებისა და აფერების დროს“. *)

*) იქვე—გვ. 73.

**) „საუკუნოების“ თუ საუკუნეების?!

***) ეს „ო“ საიდან შეგეპარათ ასეთ სიტყვაში. როგორც „საუკუნეა“ და რომელშიც ასო „ონი“ სრულიად არ მოიპოება?! არა, დაიჯერეთ, ბ. ფილოსოფოსო, რომ პატივცემულ სილოვანის გრამატიკა, ბ. ნუცუბიძის ელემენტარული „ლოღიკა და მოქ. ქუთათელაძის ადამიანის ანატომია“ უეჭველათ უნდა შევისწავლოთ უწინარეს ყოვლისა და შემდეგ მივყოთ ხელი „ფილოსოფოსობას“.

განა ამაზე უფრო შორს კიდევ შეიძლება „განათლებული“ ადამიანის უმეცრება და უვიცობა წავიდეს?! ნეტამც, ლოღიკასთან რა აქვთ საერთო პსიხიატრიასა და ფანატიზმით გამხეცებული რომის პაპების უმრავლესობას, ან იმ ბრბოებს, რომელთაც ლეგენდარული ქრისტე, ანდა იმ რეაქციონერებს, რომლებმაც ჰუსი და ბრუნო კოცონზე დაფერფლეს, გალილესა და ბევრ სხვ. თავები მოჰკვეთეს?! **)

განა ლოღიკით ხელმძღვანელობენ დიპლომატიური შანტაჟების და აფერების ჩასადენათ?!***)

უსაფუძვლოთა და სრულიად შეუგნებლათ მიგაჩნიათ ლოღიკა—ეს აზროვნების უზენაესი სარდალი და დიქტატორი ფანატიზმისა, ცრუმორწმუნეობისა და უხეში ძალის იგივეობათ! მიტომაც თქვენ ჭეშმარიტიტი ლოღიკის ჭეშმარიტი მნიშვნელობა ისე ვერ შეგიგნიათ, ისე ვერ მიმხვდარხართ, როგორც, მაგალითად, თქვენ ვერას დროს ვერ ჩასწვდებით იმ დიდი პიროვნების ლოღიკის ფოლადისებურ სიმტკიცესა და სიღრმის სიდიადეს, რომლის სახელია—„რკინის კანცლერის“ ეპიტეტით ისტორიაში დაჯილდოებული ბისმარკი და რომელიც რუსეთისადმი მიმართულ პოლიტიკის შესახებ

*) ინი ონათ არასდროს არ შეიცვლება, ბ. კაპანელო; იხ. ამის შესახებ ბ. სილოვანის გრამატიკაში „ფონეტიკური კანონები“, თანაც თუ გულდასმით შეისწავლით—დიდ სარგებლობას მიუტანთ თქვენს თავს.

**) შანტაჟი და აფიორა, ბ. „ფილოსოფოსი“, სრული უზნეობაა და მის „ლოგიურობაზე“ ზედმეტია ლაპარაკი. და დაუკვირდით: ფსიხოლოგიას ფსიხოლოგები და ფილოსოფოსები აზროვნების ფიზიკას უწოდებენ, ლოღიკას აზროვნების ეტიკას. მაშასადამე, ლოღიკა, როგორც აზროვნობის ეთიკა, თუ იცავს თვით წმიდა აზროვნების ფარგლებში ზნეობას ე. ი. სისწორეს, მით უმეტესად ის ვერ დაიცავს ისეთ უზნეობას, როგორიც აფიორა და იგანტრაჟია. ხელმძღვანელობა ხომ იგივე აპეკუნობა ან დაცვა-მფარველობაა?!

***) საერთოდ ლოღიკის შესახებ მოქ. კაპანელის მსჯელობა მოგვაგონებს ყრუ ჩამორჩენილ სოფლის ყოველმხრივათ გაუთვითცნობიერებელ მცხოვრებთ, რომელთა „ღრმა რწმენით, ყოველივე უბედურება, რაც კი შეგვემთხვა ამ უკანასკნელ წლებში, სწავლა-განათლების ბრალია, რაკი ნასწავლებმა ღმერთი უარყვესო.

# მუშათა ცხოვრება

— **ვაჭრობა-მრეწველიბის განვითარებისათვის** სამრეწველო და სავაჭრო ცხოვრების განვითარების მიზნით საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან დაარსებულია საიარმუკო-საგამოფენო განყოფილება. განყოფილების ამოცანას შეადგენს არა მარტო იარმუკებისა და გამოფენების მოწყობა ამიერ-კავკასიაში, არამედ მონაწილეობის მიღება ასეთებში, როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის ქვეყნებში. ამ განყოფილების ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად დაარსებულია მუდმივი სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმი, რომელშიც გამოფენილი იქნება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთის საქონელი.

— **მატყლის გამზადება.** ამხანაგობა „მწყესი“ შეუდგა თავის წევრებისაგან საგაზაფხულო მატყლის შეკრებას: ადგილობრივ დაგზავნილი არიან აგენტები მატყლის მისაღებად.

— **ხილი მოსკოვისათვის.** სახილო-საბოსტნო განყოფილება წარმოკავშირისა, ამხანაგობა „ქართლის“ საშვალებით აწარმოებს გასამზადებელ მუშაობას მოსკოვში ახალი ხილის გასაგზავნათ.

გამგეობა შეუთანხმდა საცივებელ განყოფილებას წარმოკავშირისათვის 100 საციებელი ვაგონის მიცემის შესახებ. აქამდე მოსკოვში გასაგზავნად გამოყენებული არის 24 საციებელი ვაგონი.

— **საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობა.** საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა დებულება აქციონერულ საზოგადოების „საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობისა“. ამ საზოგადოებაში შევლენ თავიანთი საქონლის ფონდებით: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, სახელმწიფო ბანკის სავაჭრო განყოფილება, სასურსათო კომისარიატის რწმუნებული და მთავარი საკუროროტო მართველობა (ეს უკანასკნელი ბორჯომის წარმოებათა ფაბრიკატებით). ამ საზოგადოების შექმნა ბოლოს მოუღებს სამეურნეო ორგანიზაციების ცალკე გამოსვლებს და განამტკიცებს სახელმწიფო ვაჭრობის მდგომარეობას.

— **საქსოვი საქმის გაერთიანება საქართველოში.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა სახალხო კომისართა საბჭოში მოხსენება წარუდგინა ყველა მსხვილი და წვრილი საქსოვი სარეწაოების ერთ ორგანოში გაერთიანების შესახებ. ეს სარეწაოები აქამდე სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციების გამგებლობაშია.

— **ლითონის განყოფილებაში.** სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს ლითონის განყოფილებამ თავისი სახელოსნოები გამოიყენა სისტემის მეტრიული გირების დასამზადებლად მეტრიული სისტემის მთავარი კომიტეტის შეკვეთით. დამზადებული მეტრები არაფრით არ ჩამოუვარდებიან უცხოეთისას. მთავარი კომიტეტი [illegible] ადერბეიჯანიდან და სომხეთიდან.

— **ლაგოდეხის თამბაქოს პლანტაციები.** თამბაქოს პლანტაციების სივრცე ლაგოდეხის რაიონში აყვანილი არის 1000 დესიატინამდე. 1922 წლის კი პლანტაციებს ეკავათ მხოლოდ 200 დესიატინა.

— **ახალი აქციზის საკითხი.** სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას სახალხო კომისართა სსბჭოს წინაშე ახალი აქციზების საკითხის გადახილვის შესახებ, რომელნიც მძიმე ტვირთად ადევს ჯერ კიდევ წელ-გაუმაგრებელ მრეწველობას.

— **ჩათახის თუჯი.** ბაქოს იარმუკაზე იგზავნება 200 ფუთი თუჯი ჩათახის ქარხნისა.

— **რკინის გზის შტოს გასაყვანათ.** იმის გამო, რომ გომის არყის სახდელი ქარხანა სადგურიდან რამოდენიმე მანძილის სიშორეზე იმყოფება რაც ზედმეტ ხარჯებს იწვევს, ამიტომ ღვინის ტრესტის გამგეობამ აღძრა საკითხი სადგურიდან ქარხნამდე რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ. ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტილი არის მოლაპარაკება დაიწყონ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მართველობასთან.

— **ამხ. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა.** სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, თანახმად მუშების განცხადებისა, ტფილისის მექანიკურ არტილერიის ქარხანას (არსენალს) ეწოდა ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა.

— **ლიქიორის წარმოება.** ღვინის ტრესტის ქარხანა № 2 (ყოფ. „არგო“) შეუდგა ლიქიორის წარმოებას ორგანიზაციას.

— **ტყავის განყოფილება.** სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს ტყავის განყოფილების მოქმედება უკანასკნელ თვეებში საგრძნობლად გამოცოცხლდა, როგორც ნედლი მასალის დამზადების მხრით, ისე პროდუქტების რეალიზაციისა.

— **სახამებლის ქარხანა.** დამთავრებული არის ახალი ქარხნის-სახამებლის შენება, რომელიც ერთადერთი არის ამიერ-კავკასიაში. ქარხანა იმუშავებს სიმინდზე და წლიურათ დაამზადებს 4000 ფ. სახამებელს და 1000 ფუთ დექსტრინს. თვიურათ დამზადდება 350 ფუთი თეთრი კრისტალისებური სახამებელი, რომლიდანაც 100 ფ. გადამუშავებულ იქნება 80 ფ. დექსტრინათ. მთელი სიმინდიდან, რომელიც აპარატში შევა მიღებულ იქნება სახამებელი არა ნაკლებ 35 პროცენტისა. სახამებლის მთავარი მომხმარებელნი თამბაქოს ქარხნები იქნებიან.

— **ლუდის ქარხანა.** აღდგენილია და დაიწყო მუშაობა ღვინის ტრესტის ლუდის სახდელმა

ანამ. ლუდის ხარშვა უკვე დაიწყო და მალე
იქნება.

— **მარგანეცის მექანიკურ დატვირთვა.** მარ-
ცის კომიტეტმა მარგანეცის მადნის მექანიკურ
ვირთვის საკითხის შესახებ. ინჟ. კიზიმის სის-
ს თანახმათ, დაადგინა: გადიეცეს ეს საკითხი
არგულებისა და პრაქტიკულათ გადაჭრისათვის
სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, კომიტეტმა
აუცილებლად სცნო ამ საკითხის დაჩქარებით გა-
დაწყვეტა, რადგან მას საერთო სახელმწიფოებრი-
ვი მნიშვნელობა აქვს და მით შესაძლებელი არის
მადნის თვითღირებულების დაწევა, რაც გაადვი-
ლებს კონკურენციას ინდოეთსა და ბრაზილიას-
თან.

---

## [ფ]ურცლები დღიურიდან"

**[ცი]მბირში დაღუპულ პოლიტიკური ნაწერები).**

უცნაური დღიურის და საკვირველი ნაწერე-
გამოქვეყნება მიხდება მე დღეს აქ, საქართვე-
ი.—მაშინ, როდესაც მათი ავტორი, უცნაური
რულიად უცნობი ჩემთვისაც და სუყველასთვი-
დაიღუპა შორეულ ციმბირში ამ 16 წლის წი-
. მე ჩამივარდა ხელში მხოლოდ მისი პატარა
ური და ნაწერები და ის ცნობები, რომელიც
ვკრიბე ამ იშვიათ პიროვნების შესახებ, არ
ტება იმას, რომ ის იყო ქართველი, ადმინის-
ტიული წესით გადასახლებული „პოლიტიკური"
მასთანავე „უეჭველად ანარხისტი", როგორც
ტა იმ სოფლის მღვდელმა, სადაც ჩაესახლე-
ო უკვე დაჭლექებული და მომაკვდავი „დამნა-
", რომელსაც „აღსარებაზე და ზიარებაზე"
ილის წინ უარი ეთქვა... სოფლის განაპირას,
და ნესტიანს მიწურში დაელია მას თავის
ანელი დღეები... გულ შემატკივარ გლეხებს
ლოთ ჩაეფლოთ იგი სასაფლაოს გარეშე, სა-
„კუდიანებს და ურჯულოებს" ჰმარხავდნენ...
სახელი და ვერც გვარი მისი მე ვერ გავიგე...
სიის დავთარში კი აღნიშნული იყო, რომ 1907
ი მაისის 31-ში: „безбожник и неизвестный
тически преступник, без роду, без племе-
безумьи и ярости душевной скончался"...
შეეხება თვით დღიურს და ნაწერებს, რომე-
გლეხებს მღვდლისათვის გადაეცათ, ისეთ მდგო-
ობაში იმყოფებოდა, რომ მათი დალაგება და
ბით აღდგენა ყოვლად შეუძლებელ იყო: უვარ-
ვეჯის და გაუქმებულ ხატების და სამოსის
ბში გადაეყარნათ და მთლად დახავსებული,
ეჯილ-დაფლეთილი და თაგვებისგან შეჭმული
დიდის წვალებით, რამდენიმე დღის განმავ-
ში, გავარჩიე ზოგი ერთი ადგილები დღიუ-
, ამოვიღე დამთავრებული ადგილები ნაწერე-
და გადმოვთარგმნე ქართულს ენაზედ, რად-
განსვენებულს სულ რუსულად ეწერა, თუმცა
რც დღიურიდგან სჩანს მისი ავტორი განათ-
ლი ქართველი იყო. საჭიროდ ვსთვლი აღვ-
ნიშნო, რომ თარგმნის დროს მე სრული თავისუფ-
ლება მივეცი ჩემს თავს და თვითონ შევავსე და-
კარგული ადგილებიც. დღიურიდგან ამოვიღე მხო-
ლოდ ის ადგილები, რომელთაც აქვთ საზოგადო
მნიშვნელობა და გამოვტოვე ყველაფერი, რაც სუ-
ბიექტიური და უმნიშვნელო იყო. მე სავსებით და
უცვლელად დავიცავი დედა აზრი ავტორისა და
მისი მიხედვით შევამსე დაშავებული და დაკარგუ-
ლი ადგილები. რაც შეეხება იმას, თუ რათ დავა-
გვიანე აქამდის ამ დოკუმენტების გამოქვეყნება,
მოვალეთ ვსთვლი ჩემს თავს მოვახსენო საზოგადო-
ებას შემდეგი: რუსეთში სწავლის დამთავრების შემ-
დეგ, ამ 13 წლის წინად, მე მოვისურვე სამშობ-
ლოში დაბრუნება, მაგრამ მაშინდელმა მთავარ-მარ-
თებელმა „ნება არ დართო" ჩემს აქ სამსახურზე
და მე დანიშნულ ვიყავ შორეულ აღმოსავლეთში,
ამურის მხარეს, უსსურის რაიონში, სადაც მომიხდა
მუშაობა ადმინისტრატიულად გადასახლებულთა
შორის. ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც დავ-
ყე მე ამ მხარეს, შევისწავლე იგი, გავიცან საზო-
გადოება, რომელიც შესდგებოდა მკვიდრ მცხოვ-
რებთა გარდა თავის ნებით (переселенцы) და ად-
მინისტრატიულ წესით (административные) გად-
მოსახლებულებისაგან და როდესაც 1915 წელში
ჩამივარდა ხელში აღნიშნული დღიური ნაწერებით,
შევამსე იგი თანახმად ამ ცნობებისა ქ. ვლადივოს-
ტოკში. 1916 წელში მე გაწვეულ ვიყავ მობილი-
ზაციით ჯარში და 1921 წლამდის, ე. ი. 5 წლის
განმავლობაში გამოვიცვალე 8 თანამდებობა, 6
ფრონტი და 7 სახელმწიფო. ასეთი მოუსვენარი
ცხოვრების გამო მე არ შემეძლო დღემდე ამ საინ-
ტერესო მასალის დამზადება და გამოქვეყნება. დღეს
მე ვსარგებლობ პატივცემულ გაზეთის „ტრიბუნა"-ს
ფურცლებით ამ იშვიათ ქართველის ლამაზ პიროვ-
ნების და მისი აზროვნობის გასაშუქებლად მით
უფრო, რომ როგორც დარწმუნდება მკითხველი, ეს
გადაკარგული და დაღუპვილი ქართველი, იყო ნამ-
დვილი და იშვიათი სოციალისტი.

### ფურცლები დღიურიდგან.

ქრისტიშობისთვე 25, წელი 1906, მდინარე
იმანის რაიონი.

„დღეს შობაა... მთელი განათლებული კაცობ-
რიობა დღესასწაულობს იმ შობას, რომელიც იყო
სიკვდილი და შეფერხება ცხოვრებისა, მისი უკან
დახევა და გაყინვა მრავალ საუკუნეთა სვლაში...
„ციურმა" ცეცხლმა შეაჩერა „ცხოვრების" ცეცხ-
ლის ანთება და გაძლიერება: მან გაანელა ბრძო-
ლის ცეცხლი კაცობრიობის გულში და გააჩინა მო-
ნური მორჩილობა; მან მიანიჭა ზეცა და უკვდავება
მაღალ ღმერთს და მიწა და უფლება—კეისრებს;
მან მოკლა წყურვილი ბრძოლის და სურვილი გა-
მარჯვების ადამიანის სხეულში და მის ნაცვლად
გააჩინა ამაღლების და წარმატების ძიება ტანჯვათა
განცდის და მოთმენით... მან ჩააქრო ადამიანის სულ-
ში მძლავრი წინააღმდეგობის და შურის ძიების
ცეცხლი და მის ნაცვლად გააჩაღა გამჭვარტლული
გრძნობა შიშის და მოკრძალეობისა... მან მოსპო
სიამაყე და გამბედაობა და გაამეფა თავის სიმდაბ-
ლე და ლაჩრობა... მან გაამაგრა ბატონობა ადამი-
ანისა ადამიანზე, უთანასწორობა მეფობის და მო-
ნობისა, გაამართლა კეისრობა და თვითმპყრობე-
ლობა!.. რა შორს წავა კაცობრიობა კუზედ მჯდო-
მი, როდესაც ბოროტი და ძალმომრე მეფობს და
მას არავინ არ ეწინააღმდეგება, არავინ არ ებრ-
ძვის?! ოჰ! რა სისუსტეა, რა სიუძლურე მონური
მორჩილება და მოთმინება, თავისუფლების უარყო-
ფა, პიროვნების დამდაბლება, გათელვა!... . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . .

„დღეს შობაა... ყველასთვის—ჩემთვის კი სი-
კვდილი! მე ვიცი, რომ დიდხანს ველარ ვიცოცხ-
ლებ... და არც მინდა! სხეული ჩემი მიიწურა და
დაილია და მხოლოდ გაწამებული და დატანჯული
სული ჰფეთქავს...

ოჰ, რომ შემეძლოს კიდევ ცოტა ხანს სიცო-
ცხლე; იქნებ, მომესწრო ჩემი აზრების გამოთქმა და
გადაცემა ისე, რომ უგზო-უკვლოდ არ დავკარგუ-
ლიყავ... მაგრამ, ჩემი დღეები დათვლილია... გული
აღარა მაქვს და დამწვარ ფილტვების ნაწილებს
ჩემი უკანასკნელი სისხლის წვეთებს ვაყოლებ... მა-
ლე მოვკვდები... ძალიან მალე... ოხრად, უპატრო-
ნოდ, როგორც განძევებული და ჩაქვავებული ცო-
ფიანი ძაღლი, რომელიც სოფელმა მთლად ვერ მო-
კლა და მომაკვდავი გადააგდო...

მე მოვკვდები ცოცხალი, სავსე სიყვარულით
და ბრძოლის წყურვილით...

მე გამოვაკლდები ცხოვრებას, როგორც საჭი-
რო მომქმედი ელემენტი და ჩემს მაგივრად იცოც-
ხლებენ მკვდრები, რომელთა დანიშნულება არის
გახრწნა და განსვენება არარაობით და უმიზნობით
გამსჭვალული...

ეჰ, მაგრამ, არა! არა! მე არ მოვკვდები: ჩემი
სული, ჩემი მისწრაფება გადავა ჰაერში, შეუერთდე-
ბა მსოფლიოს და მოსწამლავს ცხრილებს... გა-
დავა ჰაერთან ერთად სხვის ფილტვებში, სხვის
სისხლში და იცოცხლებს, როგორც აზრი, როგორც
იდეა, როგორც უკვდავი ჭეშმარიტება!

მე არ მეშინიან სიკვდილისა: სიკვდილისა უნ-
და ეშინოდეს მას, ვინც სიცოცხლის ღირსი არ
არის... ვის შეუძლიან მოკლას ის, ვისი სიცოცხლეც
მხოლოდ სიკვდილით იწყობა! ვის შეუძლიან გა-
წყვიტოს უკვდავების მძივი, მარადისობის ძაფზედ
ჩამოგებული!.. სრული ათი წელიწადია რაც მე ამო-
მშალეს საზოგადოებრივ ცხოვრებიდან, როგორც
მავნე ელემენტი, როგორც თვითმპყრობელობის
დაუცხრომელი მტერი! მე დამივიწყეს ყველამ... მე
დამაშორეს ამხანაგებს, საზოგადოებას, ხალხს... მე
წამართვეს ჯანი, ღონე, სახელი, პატივი, ღირსება
და გასთელეს ჩემი პიროვნება... მე ადამიანად
აღარ მთვლიან... მე აღარავინ არა მყავს, აღარავინ
არ მიცნობს... მაგრამ მე ვიცნობ კარგად ყველას...
ვიცნობ მშრომელ ხალხს, ვიცნობ მთელ კაცობრიო-
ბას და მწამს, რომ მალე, ძალიან მალე აღსდგება
იგი უსამართლობის და თვითმპყრობელობის მოსა-
სპობად! მე ვიცნობ კარგად იმას, ვინც დღეს არის
არარა და პროლეტარი და ვიცნობ იმათაც, ვინც
არიან ცხოვრების პატრონნი და მბრძანებელნი, მა-
გრამ ვიცი ისიც, რომ მალე მსოფლიო მალე შეირ-
ყევა ძირფესვიანად და გადატრიალდება ცხოვრება
უკუღმა: საკუთარ სისხლში ჩაიხჩვებიან მტარვალნი
და მეფენი და მოისპობა მათი განცხრომა და მყუ-
დროება, უსამართლობაზედ დამყარებული! მე მწამს,
მწამს, რომ ჩემი სული გაიხარებს განთავისუფლე-
ბულ ადამიანებში და განახლებული იცოცხლებს
საუკეთესო მომავალში!.. და მაშინ მომიგონებს მე
კაცობრიობა უსახელოს. შეუმჩნეველს, დაკარგულსა...
რომელმაც დაამარცხა შლისსემბურგის სიმაგრე, ბუ-
ტირკის კედლები, სამარის, ჩიტის, ირკუტსკის, ამუ-
რის საპყრობილეების სიბნელე. გამხეცებულ ჟანდ-
არმთა, ყაზახთა სივერაგე და სიმძაფრე, დიდი ციმ-
ბირის გაუტეხავი ტევრი და გაუთავებელი ეტაპები
და ციხეები!..

**გენო ყორჩიბაში.**

(გაგრძელება იქნება)

---

მბობდა: რუსეთში როცა მინდოდა რომ არ
ერებიათ ჩემთვის, ყოველთვის სიმართლეს
ოდი და, როდესაც კი დამჭირდებოდა ყველას
მუნება, მაშინ კი სიცრუეს უეჭველათ მივმარ-
იო. არსებობს თავის „მემუარებში" დიდი
რკი".

ვიმეორებთ, თქვენებრ პრიმიტიულად და ულო-
ო მოაზროვნე ადამიანი ამას ვერ გაიგებს, მა-
რა გაეწყობა!.. ჩვენ მაინც მოთმინებას არ
რგავთ და განვაგრძობთ თქვენი „შემოქმედე-
გამჭრიახობით" შექმნილ „ფილოსოფიურ-
ფიურ სისტემით" ჩაწიხლულ ლოღიკის
ს.

თქვენ ბრძანებთ: „ფსიხოლოგია ორგანოტრო-
ია და ლოგიკა მხოლოდ ერთგვარი სტატიურ-
ფიული განყოფილება ფსიხოლოგიის; რუსეთში
სკი და ჩვენში შ. ნუცუბიძე წინააღმდეგს ამ-
ბენ: მათი და მათი წინაპრების აზრით ლო-
სრულებით დამოუკიდებელია ფსიქოლოგიისა-
ირიქით, ფსიქოლოგიას ეძლევა ღირებულება
მ, რომ არსებობს ლოგიკის კანონები" *).

ამ მხრივ ვედენსკი და ნუცუბიძე უეჭველია
თლეს ისე აღიარებენ, როგორც შეცთომას
ჩადიხართ და დაუკვირდით: ადამიანი ბუნე-
ვირგვინს არა თავისი ფსიხოლოგიით წარმო-
ს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ერთათ-ერთი
კით. ფსიხოლოგია ყველასა და ყველაფერს
მაგრამ ლოღიკა კი მხოლოდ მარტოთ-მარტო
ანის სრულ საკუთრებას შეადგენს. მიტომაც
რის დაუსრულებლობაში ლოგიურის თვალთა-
თ ნაპოლეონი იგივე არ არის, „რაც ტასმა-
ბელურა", კანტი იგივეობას არ წარმოადგენს
ონის კენგურუსას.

განვაგრძოთ ქვევით. ერთ დროს ფილოსოფო-
ველა მეცნიერებათა დედოფლად ფილოსო-
ღიარებდნენ, რაც უეჭველია უსამართლობა
მაგრამ თანამედროვე ფილოსოფოსებმა კი
ულის გვირგვინი ლოღიკას მიუძღვნეს და
წინაპართა შეცდომა გაასწორეს და ეს ასეც
მომხდარიყო, რადგან ლოღიკა არის ისეთი
ერება, ურომლისოდაც ვერც ერთი მეცნიე-
ვერ გამოდგება. ლოღიკისთვის ყოველნაირი
ნის კარები ღიაა და ამ მხრივ ის თვით
თიკასაც კი ჩრდილს აყენებს,—თვით მათ მა-
ც, რომელიც ყველა მეცნიერების დედათა
უძვლათაა აღიარებული.

მიტომაც ყოვლად დაუშვებელია ერთმანეთში
ლოგიისა და ლოღიკის შემეცნებელ აქტის
მაგრამ ყოველივე ეს მოქ. კაპანელსა და მის
„ურწმუნო თომებს" არ სწამთ, თუ ვერ
გაუგიათ და გაიძახიან: ლოღიკა „სტატიურ-გრაფი-
ული განყოფილებაა ფსიხოლოგიის-"ო.

აბა კარგათ ჩავუკვირდეთ, ეს თუ მართლა
ისეა, როგორც მათ ჰგონიათ? ასეთ შეცდომას მარ-
ტო მოქ. კაპანელი კი არ სჩადის, არამედ ისეთი
ადამიანებიც, როგორც ლოკი, სპენსერი, იუში,
კორნელიუსი და მთელი თანამედროვე ფსიხოლო-
გიზმის წარმომადგენელნი, ფილოსოფოსები და ფსი-
ხოლოგები არიან.

რაშია საქმე? რით განსხვავდება ლოღიკა ფსი-
ხოლოგიისაგან? ფსიხოლოგია არის აღწერილობითი
მეცნიერება, ლოღიკა—ნორმატიული; პირველი აზ-
როვნების ფიზიკას წარმოადგენს და მეორე კი აზ-
როვნების ეთიკას· ფსიხოლოგიის კანონები ამყარე-
ბენ მიზეზობრივ კავშირს, ლოღიკის კანონები—
იდეალურს. ამასთანავე, ლოღიკა არის აუცილებელი
prius-ი ყოველი მეცნიერებისა, ე. ი. ფსიხოლოგიი-
საც და, როგორც ასეთს, უკანასკნელი არსებით სა-
ფუძველს არ აწვდის. ეს რომ სწორეთ ასეა, ამას
ამტკიცებს, სხვათა შორის, ჰუსერლიც. „Если
стать на точку зрения психиологизма, ასე გად-
მოგვცემს პ. პ. ბლონსკი ჰუსერლის მსჯელობას, то
придется признать, что из эмпирически прибли-
зительных основ могут следовать лишь прибли-
зительные логические правила, которые, в ка-
честве индуктивных выводов. обладают лишь ве-
роятностью, являясь лишь нормативным форму-
лировкам психологических фактов. *)

მაშასადამე, რაკი „ემპიურიულათ დაახლოე-
ბითი საფუძვლებიდან გამომდინარეობენ მხოლოდ
დაახლოებითი ლოღიკური წესები და თანაც ვინაი-
დან ლოღიკური კანონები არა დაახლოებითი, არა-
მედ აბსოლიუტურათ სწორი არიან, თავის თავად
ცხადია, რომ ლოღიკა ერთი და აბსოლუტურია,
ფსიხოლოგია—მეორე და მარად ცვალებადის. ამი-
ტომაც, თუ მაინც და მაინც „განყოფილებებსა და
ქვე-განყოფილებების საკითხზე მივა საქმე, იმ შემთ-
ხვევაში ვიტყვით, რომ არა ფსიხოლოგიის „სტა-
ტიურ-გრაფიულ განყოფილებას" წარმოადგენს ლო-
ღიკა, არამედ—წინააღმდეგს: აუცილებელი prius-ს
ფსიხოლოგიისა და საერთოთ ყველა მეცნიერებისა,
ლოღიკა არის ისეთი ნორმატიული დისციპლინა,
რომლისთვისაც ფსიხოლოგია ისეთ იარაღს შეად-
გენს, როგორსაც ფოტოგრაფიული აპარატი იმ
მხატვარისთვის, რომელსაც თუმცა შემოქმედების
დიდი ნიჭი აქვს, მაგრამ პირდაპირ მაინც ვერ და-
ხატავს ადამიანსა თუ სხვა რაიმე საგანს, რის გამო
ჯერ მის სურათს გადაიღებს და შემდეგ შეუდგება
სხვადასხვა საღებავით ტილოზე ხატავს. ასეთი
მხატვრები ძალიან ბლომათ მოიპოვებიან. და ვიმე-
ორებთ, სწორეთ ასეთ მხატვრისთვის რასაც შე-
ადგენს ფოტოგრაფიული აპარატი, ფსიხოლოგიც
იგივეა ლოღიკისთვის.

სამწუხაროთ, ყოველივე ამაზე მოქ. კაპანელს
წარმოდგენაც კი არ აქვს და ისე უხეშათ ეპყრობა
ლოღიკას, როგორი უხეშობაც გასულ საუკუნის
მე-60 წლებში ვინმე „კირტუოსმა" ბარათაშვილმა
დიდი ილია ჭავჭავაძესადმი ჩიდინა. როდესაც
ჩვენმა პოეტმა დასწერა ცნობილი ლექსი და ასე
დაათავა:

აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები,
მამულო საყვარელო, შენ როდის აყვავდები?!

ვინმე ბარათაშვილმა (ვგონებ, თევდორე ერ-
ქვა) ასეთი რამ დასტამბა ივ. კერესელიძის „ცის-
კარ"-ში: ამ ლექსით უფალი ილია ჭავჭავაძე იმ
სიმაღლეზე ავიდა, საიდანაც არა თუ გადმოვარდ-
ნა, არამედ გადმოხედვაც კი გულს გაუხეთქს და
მოკლავსო. გაზაფხულია, ყველაფერი ამწვანებულ-
აბიბინებულია, საქართველოში ყველგან მცენარეუ-
ლობა ჰყვავის და განა ასეთ დროს ჭკვაზე მყოფე-
ლისთვის სამშობლოს შეეკითხება „სამშობლო, სა-
ყვარელო, შენ როდის აყვავდებიო"?!

აბა დავუკვირდეთ, მოქ. კაპანელიც თუ ასე
არ მსჯელობს ლოღიკის შესახებ?

„ავსტრალიაში ადგილობრივ მცხოვრებლებს
თურმე (!) ასეთი წარმოდგენა აქვთ ადამიანის მო-
ვალეობაზე: ვინმეს რომ ნათესავი მოუკვდება, ვალ-
დებულია მეზობელ ტომს მოუკლას სამაგიერო ერ-
თი წევრი, რადგან თავისს ნათესავის სიკვდილს
ავსტრალიელი აბრალებს მეზობელ ტომს, რომელ-
მაც მას გამოუგზავნა ბოროტი სული.

ერთხელ თურმე ექიმ ლოდორს, რომელიც
იყო მმართველი ავსტრალიის ერთ-ერთ პროვინ-
ციის, გამოეცხადა ერთი ავსტრიელი, რომელსაც
გარდაეცვალა ცოლი; ავსტრალიელმა სთხოვა ლო-
დორს: გამიშვი და მეზობელ ტომს მოუკლავ სამა-
გიეროსო. ექიმმა ლოდორმა დაპირდა, რომ თუ კი
კიდევ ამისთანას თქმას გაბედავდა ავსტრალიელი,
იგი მას ციხეში ჩააგდებდა. ავსტრალიელი დაავათ-
მყოფდა, მას აწუხებდა სინიდისი და თავის მოვა-
ლეობის შეუსრულებლობა; ცოლის სული მას ხში-
რად ეცხადებოდა და, როგორც ჰამლეტს მოსვენე-
ბას არ აძლევდა.

ერთხელ წამოვარდა თურმე ლოგინიდან
ავადმყოფი ავსტრალიელი და გაიქცა: რამოდენიმე
დღის შემდეგ დაბრუნდა და გამოუცხადა ექიმ
ლოდორს: რაც გინდა მიქენი, შევასრულე ჩემი ჭეშ-
მარიტი მოვალეობა, მეზობელს ცოლი მოუკალიო.
ლოდორმა შეიპყრო ავსტრალიელი და ციხეში გა-
გზავნა". *)

გვიამბობს რა ასეთ „სენსაციურ ამბავს" მოქ.
კაპანელი დიდი გატაცებით გვეკითხება:

„საინტერესოა: ალეთოლოგიის თვალთა ხედ-
ვით ვისკენ არის აბსოლიუტური ჭეშმარიტება—
ინგლისისა, თუ ავსტრალიელის?" *)

რასაკვირველია, აბსოლიუტურ ჭეშმარიტების
მხარეზეა, ბ. „ფილოსოფოსო"! მარა თქვენ ეს არ
გესმით და მიტომაც ასეთ კომიკურ პასუხს იძლე-
ვით:

„ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ორი სხვა და სხვა
სახის კულტურულ-ტროპიული ტრადიცია აქ ერთ-
მანეთს შეხვდა და პრობლემა (!) ჭეშმარიტების—
პრობლემა ლოგიური გადაიქცა ტერიტორიულ-
ტროპიულ პრობლემათ". **)

რუსული ანდაზა: „В огороде бузина, а в
киеве дядя", სწორედ ასეთ მსჯელობაზე ითქმი-
დიახ, რა აქვს ნეტამც საერთო ლოღიკასთან ფანა-
ტიზმს ან ცრუმორწმუნეობას?! გარდა ამისა, განა
შეიძლება მეცნიერების კუთხურ-ჯგუფურ ცნებათ
გარდაქმნა. მეცნიერება ერთია, ჩვეულებებით შემ-
დგარი შეხედულება კი მეორე. და დაუკვირდით.
თერმომეტრი, როგორც მეცნიერული მიღწევა,
ყველგან, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, სამხრეთ-
სა თუ ჩრდილოეთში, მარად და ყოველთვის ერთი
და იმავე მიზანის მიღწევის საშუალებაა,—ავათმყო-
ფის სიცხის გაზომა. მაგრამ თუ ჩვეულებებსა, ფა-
სებისა, ფანატიზმსა, ცრუმორწმუნეობასა და სხვ.
ასეთებს შევეხებით და ავალებთ ისეთ დიდ ცნებას,
როგორიცაა, მაგალითად, „ღმერთი" ან „რელიგია"
მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი ყველგან და ყველა
ხალხებისათვის უწინარეს ყოვლისა უდიდესი ჭეშმა-
რიტება ე. ი. ყველასთვის ერთათ-ერთი აბსოლიუ-
ტური ჭეშმარიტებაა, მთელი ქვეყნის სხვა და სხვა
კუთხის მცხოვრებნი მასზე მაინც სხვა და სხვა შე-
ხედულების არიან. და ამ მოვლენასთან ლოღიკას
ისე არაფერი საერთო აქვს, როგორც „ნაპოლეონს
ტასმანის ბელურასთან", „კანტს—ცეილონის კენგუ-
რუსთან".

**გიზიკო ალიანი.**

(გაგრძელება იქნება)

---

*) იქვე—გვ. 73.

*) იხ. П. П. Блонски „Соврем. фил." გვ. 32.

*) იქვე—გვ. 70.

*) იქვე—გვ. 71.

**) იქვე—გვ. 71.

# სხვა და სხვა

— **უმუშევრობა ბერლინში.** უმუშევართა რიცხვმა ბერლინში უკანასკნელ კვირებში ისევ აიწია და ამ ჟამად შეადგენს 100 ათას კაცზე მეტს.

— **ვეფხვების წინააღმდეგ.** ინდოეთის ვიცე-კოროლმა ლორდ რიდინგმა უკანასკნელი მონადირეობის დროს საკუთარის ხელით ტყვიით მოჰკლა 6 ვეფხვი. ერთი ამ ვეფხვთაგანი 11 ფუტისა და 5 დიუმის სიგრძისაა. ეს ფაქტი არა სასურველ შთაბეჭდილებას დასტოვებს ანტისემიტებზე, რომლებმაც შექმნეს ლეგენდა კლასიკური ებრაული მშიშარობის შესახებ: როგორც ცნობილი არის, ლორდ რიდინგი ებრაელია.

— **უცნაური შემთხვევა.** საკმაოდ იშვიათი შემთხვევა საგაზეთო პრაქტიკისათვის დაემართა გენ. ლიუდენდორფს. კოპენჰაგენის დიდ გაზეთ „ბერლინგსკე ტიდენდე“-ში მოთავსებული იყო ინტერვიუ ლი გენერალთან. ამის საპასუხოდ გენერალმა ლიუდენდორფმა კატეგორიულად განაცხადა, რომ მას ამ გაზეთის თანამშრომელთან არაოდეს არ უსაუბრია და არავითარი ინტერვიუ არ მიუცია. ასეთ უარყოფას ხშირათ აქვს ადგილი. მაგრამ კოპენჰაგენის გაზეთის თანამშრომელმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და განაცხადა თავის მხრით, რომ გენერალი სცრუობს, რადგან ის მასთან საუბრობდა და ამასთან გენერალმა იცოდა, რომ საუბარი პრესისათვის იყო დანიშნული. თანამშრომელმა სასამართლოში საჩივარი აღძრა და მოითხოვა გენ. ლიუდენდორფისათვის ჩვენების ჩამორთმევა ფიცის ქვეშ.

— **ბოკსიორის კარიერა.** ცნობილმა ამერიკელმა ბოკსიორმა დემპსიმ, რომელმაც თავის დროზე გაიმარჯვა კარპანტიეს სენსაციურ მატჩში, თავისი კარიერა დამთავრებულათ გამოაცხადა. საქმე იმაში არის, რომ დეპსიმ სულ მცირე ხანში იშოვა მილიონ დოლლარზე მეტი და გადასწყვიტა, როგორც ამბობენ ხოლმე,—ამ თანხაზე გაფიცვა. მსოფლიო ბოკსორის ტიტული მოსვენებას არ აძლევს სხვა ბოკსორებს და დემპსი იძულებული გახდებოდა ტიტული დაეცვა მთავარ ბრძოლებში. მან არჩია თავისი ძალღონის მოხმარა უფრო იოლი საძიებარისთვის,—ქვანახშირის მაღაროების მეპატრონებისთვის. ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს დეპსიმ განაცხადა, რომ მისთვის ბოკსი არასოდეს არ იყო თვითმიზანი, არამედ ის იყო ქონების შეძენის საშვალება. ამ სპორტის მრავალ მომხრეთათვის „ბელადის“ ასეთი განცხადება დიდი განრისხება არის, მით უფრო, რომ შემდეგი მნიშვნელოვანი ბოკსორი კარპანეტიეც კომერციაში არის გართული და სხვათა შორის მონაწილეობს სხვადასხვა ფრანგულ ამხანაგობებში, რომელთაც სურვილი აქვთ რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების დამყარებისა. დემპსის მიერ თავისი კარიერის უარყოფამ არა ნაკლები სენსაცია გამოიწვია გერმანიაში, სადაც ბოქსი თანდათან სპორტის მიმზიდველ დარგათ ხდება და განსაკუთრებით ვრცელდება იმ წრეებში, რომელნიც მთელ თავის ძალღონეს იქით მიმართავენ, რომ ფიზიკურათ და მორალურათ აალორძინონ გერმანია. ეს წრეები სცდილობენ ბოკსორები კულტურტრეგერებათ წარმოიდგინონ მაშინ, როდესაც დეპსიმ დაგვანახვა, რომ ბოკსიორისათვის ეს სპორტი არის სპეკულიაცია მასსების დაბალ ინსტინქტებზე და ის უბრალო საშვალება ქონების შეძენისა.

— **ემიგრაცია იაპონიიდან.** იაპონიის მოსახლეობა ამ ჟამათ 57 მილ. სულს უდრის. ამას გარდა კორეაში ირიცხება 17 მილიონამდე და კუნძულ ფორმოზზე 3 მილიონი. მოსახლეობის ზრდა იაპონიაში მეტად დიდი არის. ყოველწლიურათ იაპონიის მოსახლეობა და ტერიტორიალური მდგომარეობის სივიწროვე იძულებულს ხდის მოსახლეობას გამოსავალი ემიგრაციაში პოვოს, თუ კი 1900 წლამდე ემიგრანტთა რაოდენობა 125.000—აღწევდა წელიწადში, ამ ჟამათ ეს ციფრი სამჯერ არის გაზრდილი. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში იაპონიიდან გადასახლებულა 650 ათასი ადამიანი,- ეს მხოლოდ ოფიციალური ცნობებით; ფაქტიურად კი უთუოდ, კიდევ მეტი. ემიგრაცია მიიმართება უმთავრესად მანჯურიისა, კალიფორნიასა და კვანტუნგში. უკანასკნელ ადგილზე სდგას ციმბირი, რომელშიც არის 6500 იაპონელი ემიგრანტი. ემიგრაციის გაძლიერების ერთერთი მიზეზი არის. აგრარული საკითხის გამწვავება. იაპონიაში მიწების მთელი რაოდენობიდან მხოლოდ 18 პროც. არის გამოსადეგი დამუშავებისათვის, დანარჩენი ადგილები კი მთიანები და გამოუსადეგარნი არიან. მიწის ეს ფონდი შემდეგნაირათ იყოფა: 48 პროც. სახელმწიფოს ეკუთვნის, 3 პროც. სახლობას და მხოლოდ 49 პროც. ეკუთვნის კერძო მესაკუთრეთ. აგრარული კითხვის გადაჭრა იაპონიაში რამოდენიმეთ ადვილდება მით, რომ მსხვილი მიწათმფლობელები აქ არ არიან.

საშუალო მიწათმფლობელი წარმოადგენს 1800 კვ. საჟენის მიწის მესაკუთრეს. მიწების სივიწროვე იაპონიაში წლიდან წლამდე საგრძნობი ხდება და მთავრობის ცდები დააკმაყოფილოს მიწის შიმშილი, არსებითად ვერ სჭრის აგრარულ საკითხს.

— **ბრძოლა მუშათა მოძრაობასთან.** ერთერთი მთავარი იარაღი ამერიკის კაპიტალის ბრძოლისა მუშათა მოძრაობასთან არის, როგორც ვიცით, უმაღლესი ფედერალური სასამართლო შეერთებულ შტატებისა. როგორც კი მიაღწევენ მუშათა ორგანიზაციები ბრძოლის საშვალებით რაიმე მნიშვნელოვან შედეგებს, სცენაზე უთუოდ გამოდის სასამართლო და აცხადებს, რომ ახალი შეთანხმება არ შეეფერება ამერიკის კონსტიტუციის დადგენილებებს.

ასე მოხდა ახლაც; მას შემდეგ რაც მუშათა ორგანიზაციებმა რამოდენიმე წლის მედგარი ბრძოლის შემდეგ შესძლეს გაეტარებიათ კანონი მინიმალური სამუშაო ხელფასის დაწესებისა ქალებისა და ბავშვებისათვის, ფედერალურმა სასამართლომ განაცხადა, რომ ეს კანონი არ შეეფერება ამერიკული კონსტიტუციის სულს და ამიტომ უქმიაო. საქმე იმაშია, რომ ამერიკის კონსტიტუცია უზრუნველყოფს ხელშეკრულების თავისუფლებას მწარმოებელსა და მუშას შორის, რომელსაც ეს კანონი, რომლის მიზანია დაიცვას ბავშვები და ქალები უსაზღვრო ექსპლოატაციისაგან,-არღვევს.

— 27 **მილ. გირვანქა სტერლინგი რეკლამისათვის.** ცნობილი ინგლისის კომპანიის „ძმ. ლევერის“ უკანასკნელ საერთო კრებაზე (ეს კამპანია კონტროლს უწევება მცენარეულობის სიმსუქნის მსოფლიო ბაზარს) კრების თავჯდომარემ ლორდ ლევერხამმა მოხსენებაში სხვათა შორის აღნიშნა, რომ კომპანიის დაარსებიდან მის მიერ დახარჯული არის რეკლამისათვის 27 მილ. გირ. სტერლინგი. ეს თანხა კომპანიის მთელი მარაგის კაპიტალის ნახევარს უდრის და ამ კამპანიას 161.236 აქციონერი ყავს. ლევერხამმა მტკიცე აზრი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ეს კოლოსალური ხარჯი არის ყველაზე უფრო რაციონალური გამოყენება კამპანიის საბრუნავ თანხისაო.

— **იაპონელი როტშილდები.** იაპონიაში ამას წინათ გარდაიცვალა ბარონი ტაკაიაზუ მიტსუი, რომელიც თავისი სიმდიდრით პირველი იყო იაპონიის სახლისა, რომელიც იაპონელ როტშილდების სახლად არის წოდებული. იაპონიის პრესა ამ ფაქტს ახლა დიდ ყურადღებას აქცევს. როგორც სჩანს, მიტრუის სახლი გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე როტშილდებისა. ფაქტი ის არის, რომ არ არის სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, რომელშიც პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა არ ქონდეთ მიღებული ამ როტშილდების კაპიტალის. ბანკები, სამთო წარმოებანი, რკინის გზები, სანავოსნო საზოგადოებანი, სავაჭრო სახლები და სხვა საქმენი,—ყველგან იღებს მონაწილეობას ამ უძლიერეს ოჯახის ესა თუ ის წარმომადგენელი

საინტერესო არის ის ორგანიზაცია, რომელიც აერთებს ყველა ბარონ მიტსუის ერთ მთელში და აძლევს მათ განსაკუთრებულ ძალას; ყველა მიტრუიები დაყოფილია 11 შტოთ, რომელნიც ერთმანეთს ეხმარებიან. ყოველი მიტრუის სახლს აუცილებლად ამკობს მათი უდიდესი წინაპრის პორტრეტი, რომელიც დამაარსებელია სახლის და სცხოვრობდა დაახლოებით ათასი წლის წინათ; სახლის სტატუტის მიხედვით, არც ერთს ამ თერთმეტ შტოთაგანს არა აქვს უფლება იყოს მეორეზე უფრო მდიდარი. წლიური ბალანსის გამოყვანის შემდეგ წმინდა მოგება ნაწილდება თანაბრათ ყველა მათ შორის. ოჯახის არც ერთ წევრს არა აქვს უფლება ცოლის თხოვისა ან თავის ხელობის შეცვლისა, საოჯახო საბჭოს დაუკითხავათ. ერთი სიტყვით ჩვენს წინაშე ნამდვილი კასტა არის, სახელმწიფოა სახელმწიფოში.

— **უკმაყოფილების შესანელებლად.** როგორც გადმოგვცემენ, ოსმალეთის მთავრობას განზრახვა აქვს მისცეს საფრანგეთს სარკინისგზო კონცესია ესკიშეხირსა-ბრუსსა-პანდერმას შორის და კონცესია პანდერმაში ნავთსადგურის მოსაწყობათ; ამით მათ სურთ შეანელონ საფრანგეთის უკმაყოფილება, რომელიც გამოწვეულია ჩესტერის ამერიკული კონცესიის დამტკიცებით.

# ჩვენი სკოლა

### ე ტ ი უ დ ი

**ძლვნად მასწავლებელს ნიკო მაღრაძეს**

(იუბილეს გამო)

ადამიანო, აწ აღარ ფიქრობ მოსვენებას, აღარ დაიძინებ? აგერ უკვე შუაღამე გადავიდა, მეორე საათის ნახევარია, შენ კი მიჯდომიხარ მაგიდას ცივ ოთახში, ჩაჰკირკიტებ და აღარ ეშვები ამოცანებსა და რვეულებს; ის ძველი პალტო მაინც მოიხურე, შე კაცო, და ისე დაჯედი; გინდა გაცივდე და ავად გახდე?! რად არ უფრთხილდები თავს მოხუცებული კაცი?!—ასეთი თანაგრძნობითა და თან საყვედურით გამოსძახა მეორე ოთახიდან თავის ქმარს, მასწავლებელს, სიკო ერთგულაძეს, ცოლმა, მაკრინემ. ერთხანს მაკრინე უჯდა გვერდით თავის მეუღლეს; თვალს ადევნებდა იმის მუშაობას; შემდეგ მოსწყინდა, თან შეცივდა; და შეწვა ქვეშსაგებში; მის თვალებს ძილი ჯერ კიდევ არ მიჰკარებოდა; მწარე ფიქრებს მისცემოდა: ხვალ სადილისთვის არაფერი არ მოეძებნებოდა ოჯახში; არც ფული ჰქონდა, რომ მწვანე ბაზარში გასულიყო, პური და ყველის ნაჭერი ეყიდნა; ორი თვის ჯამაგირი აუღებელი ჰქონდა სიკოს.

ნუ გამიჯავრდები, მაკრინე ჩემო! მალე გადავათვალიერებ ამ რვეულებს, ამოცანებსაც გამოვარჩევ სახვალიოდ და შემდეგ დავიძინებ.

ნეტავი შენ, რომ არ მოგწყინდა ეს ამოცანები და რვეულები! შენი დღეა წვალობ, რვეულებმა და ამოცანებმა გაგიხმო გული და გაგიშრო თვალები; რას გამოელი? მშიერი იყავი და ხარ; ფეხზე შენ არ გაცვია და ტანზე; ნუ გეშინია, ხვალ გემრიელ სადილს დაგიმზადებ! გადაატანე თავი ბავშებსა და რვეულებს!“

— მართალია მაკრინე ჩემო, მშიერი ვარ და შეიძლება ასე მშიერ-შიშველი მოვკვდე, მაგრამ საქმე თუ არ მოვაწესრიგე, ისე არ მიამება არც ჭამასმა და არც ძილი;

ადამიანმა შენი მოვალეობა პირნათლად უნდა შეასრულო; ასე გვიკარნახებს ჩვენ ზნეობა და სინიდისი; ხვალ 50 მოსწავლე მიცდის; თუ რვეულები გასწორებული არ მივიტანე კლასში და ამოცანებიც გამორჩეული არ შეიქნა, გაკვეთილი გამიცდება და ჩემი შესვლა კლასში უნაყოფო იქნება; მასწავლებელი ყოველთვის მომზადებული უნდა შევიდეს მოსწავლეებთან გაკვეთილზე; ასე თუ არ მოიქცა, იმისი გაკვეთილი ნაკლები იქნება“,—დავიჯერო, ეხლა ყველა შენსავით ასე ატეხს თავს რვეულებსა და ამოცანებს, აღარ ისვენებს და აღარც იძინებს?!“. შეეკითხა მაკრინე სიკოს.

— „ვინც არ იტკივებს და იწუხებს თავს, ის ბევრს ვერაფერს გააკეთებს; მოუმზადებლად შესვლა კლასში მასწავლებელს ხანდახან აგ... ბინებს სირცხვილს და ჩაგდებს უხერხულ მდგ... რეობაში; ამიტომ არის საჭირო, ჩემო მაკრინე, მასწავლებელმა ხვალისათვის ყოველივე წინა... გაითვალისწინოს. მე მიყვარს სკოლა, ბავ... მათთან მუშაობა ცოცხალი საქმეა, წმინდა ხელ... რა ვუყოთ, რომ ხშირად მშიარი და შიშველი... სამაგიეროდ სულიერად მანუგეშებს ჩემი მოვ... ობა და ის აზრი, რომ წმინდა საქმეს ვემსახ... ბი. არაუშავს, ჩვენი მდგომარეობა ეხლა თანდ... უმჯობესდება; თუ რამე ექნა მთავრობას, ... მოგვცემს. მალე ჩვენც ოქროს კურსით მივიღ... ჯამაგირს; მერმედ შენ კმაყოფილი და მადლობ... დარჩები ჩემი მოღვაწეობით“.

ამგვარი მადლიანი სიტყვებით დაამშვიდ... კომ მაკრინე. ამასობაში ორი საათიც შესრულ... სიკომ დაამთავრა თავისი საქმე, მიალაგა რვე... ბი; გამოაღო შკაფი; მოძებნა პურის დარჩენ... ხმელი ნაჭერი, ლიმონადის ბოთლში ერთი ... არაყიც გამოძებნა, ხმელ ლუკმას დააყოლა და ... ვიდა მეორე ოთახში დასაძინებლად.

ლადო ბზვანელი.

# კორესპონდენცია

### ქ. ფოთი.

სამშაბათს, 8 მაისს, ადგილობრივ თეატრ „კომეტაში“ შესდგა ლიტერატურული გასამართლება დან. ჭონქაძის ცნობილი ისტორიული მოთხრობის, „სურამის ციხის“ გმირის—ვარდუასი.

საზოგადოება ბლომათ დაესწრო გასამართლებას, ვინაიდან ჯერ კიდევ არ წაშლილიყო მისი მეხსიერებიდან შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა მშვენიერმა კინო-სურათმა „სურამის ციხემ“ და მოუთმენლად მოელოდა გასამართლების დაწყებას.

დაჰკრეს მესამე ზარი და ფარდა ნელა აცოცდა ზევით... ბრალმდებელი კ. კაპანელი, დამცველი მოქ. ლოლაძე, სასამართლო მთელი თავისი შემადგენლობით, და სცენის სიღრმეში შავად შემოსილი ვარდუა ბრალდებულის სკამზე.

სასამართლო შეუდგა საქმეს. წაკითხული იქნა საბრალმდებლო ოქმი. ბრალდება შესდგება ორ მუხლისაგან: 1) ვარდუას ბრალი ედება, როგორც ქართველ ქალს, რომელმაც შურის ძიებისათვის იმსხვერპლა უდანაშაულო ზურაბი, 2) აგრეთვე ისტორიის და კაცობრიობის წინაშე, როგორც მარჩიელს და გამავრცელებელს ცრუმორწმუნეობის და ყალბი მსოფლგაგების. ნაფიც მსაჯულებმა რიცხვით 7 კაცმა დაიკავეს თავიანთი ადგილი.

დაკითხულ იქნა ვარდუა, სცნობდა თავს დამნაშავედ თუ არა, ვარდუამ უპასუხა: არა, არა ვარ დამნაშავეო. ერთად ერთი მოწმე დურმიშხანი ძლიერ ცუდი შთაბეჭდილებას სტოვებს თავის ცინიზმით და ნამდვილი ვაჭრული ფსიხოლოგიით. როგორც სჩანს ჩვენებიდან, დურმიშხანს არასოდეს არ უყვარებია ვარდუა, მხოლოდ როგორც ლამაზი ქალი მოსწონდა და წინააღმდეგი არ იყო გათამაშებოდა. თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამ გათამაშებას, ამაზე დურმიშხანი სრულებითაც არ ფიქრობდა.

ცინიკური გულწრფელობით და დამშვიდებით აღიარებს დურმიშხანი თავის ზნეობრივს და ადამიანურ გრძნობების სიკოტრეს. და თავის გასამართლებლად ხმარობს ნამდვილ ვაჭრულ მეთოდს: „სად მცალია ფიქრობს ზნეობაზე, რაც ათასი საქმე მაქვს და ვაჭრობაში ვარ გართულიო“.

მისთვის ფულის მოგება, გამდიდრება ყოფილა უდიდესი ბედნიერება, ერთად ეოთი მიზანი.

დურმიშხანის გამოსვლამ საზოგადოების წინაშე ცოტა არ იყოს შეარყია ატმოსფერა და წინასწარი, თითქმის გადაწყვეტილი აზრი საზოგადოებისა ვარდუას წინააღმდეგ იყო მიმართული.

მით უფრო საინტერესო შეიქნა სასამართლოს შემდეგი პროცესი—ბრალმდებელის და დამცველის შეჯიბრება.

ბრალმდებელი კაპანელი თავის საბრალმდებლო სიტყვას ამყარებს უმთავრესად სოციალურ პრინციპებზე. მისი აზრით, ყოველ ადამიანს იმდენად აქვს უფლება ცხოვრებისა, რამდენად ის არის წევრი საზოგადოების, ემორჩილება საზოგადოებაში არსებულ წესებს და ქმნის რაიმე ღირებულებას. საზოგადოება არის ერთგვარი საზომი, რომლითაც უნდა გაიზომოს ადამიანის ყოველი მოქმედება, თუ ვინმე სცხოვრობს საზოგადოების ხარჯზე, თავისთავად არაფერს არ ქმნის და საკუთარს სურვილებს და ვნებებს უმორჩილებს საზოგადოების ინტერესებს, დაუყოვნებლივ უნდა იქნას დასჯილი ასეთი პირი და განდევნილი საზოგადოებიდანო.

შემდეგ გადადის ვარდუაზე და ამტკიცებს, რომ ვარდუა სწორედ ასეთი მავნე ელემენტია საზოგადოებაში შემოპარული, რომელმაც თავისი მოქმედებით, უნაყოფო ცხოვრებით შხამავდა გარშემო ატმოსფერას და საზოგადოებას დიდ ზიანს აყენებდა.

ვარდუას მძიმე დანაშაული, მოითხოვს ორატორი, უნდა იქნეს გამოსყიდული მისივე სასჯელითო.

დამცველი ლოლაძე ამტკიცებს, რომ ვარდუას ჰქონდა სრული უფლება თავისი გათელილი, მიწასთან გასწორებული პატიოსნება აღედგინა შურის ძიებითო. ორატორის აზრით, შურის ძიება არ უნდა ჩაითვალოს უარყოფით თვისებად ადამიანის გრძნობებთა შორის, პირიქით ეს არის უდიდესი საშუალება სამართლიანობის აღსადგენად.

ასეთი პარადოქსი გამოცდილმა ვექილმა ... ბად განგებ მოიყვანა, რომ ვარდუა როგორმ... მოეგლიჯა ბრალმდებელის სასტიკი ბრჯ... ბიდან.

დამცველი ამართლებს ვარდუას მეორე მ... შიაც ე. ი. მკითხაობაში. მისი აზრით ვარდუა... ჰქონდა სხვა გამოსავალი დაეხწია თავი ... უარესს მოსალოდნელ უბედურებისაგან, რომ... ხშირად დაატყდება ხოლმე თავზე ადამიანს, მე... რე ქალს, როცა ერთხელ მას დაეკარგება საზ... დოებაში პატივი და ღირსებაო.

ნაფიც მსაჯულებმა სრულიად გაამარ... ვარდუა.

ხალხი საღამოთ ნასიამოვნები და კმაყოფ... დაიშალა.

კარგი იქნება, ლიტერატურული გასამართ... ბა ხშირად ხდებოდეს.

დიდი მადლობა კაპანელს და ლოლაძეს გ... მართლებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

დ. ფახისპირელ...

# ხელოვნება

### ნაძალადევის თეატრი.

ტფილისის უბნის რკინის გზის პროფ. არსნბულ კულტ. განყ. მუშათა დასი სეზონს ხუ... 17 ივნისს. მიმდინარე რეპერტუარი: პარიზის ღა... ლატაკნი, ბურუსი, თამარ ცბიერი, შენი ჭი... კულტ. განყოფილება ნაძალადევის თეატრის ე... ხსნის საზაფხულო კინემატოგრაფს ბილეთების ... ძლიერ დაკლებული იქნება.

ნაძალადევის თეატრი, კვირას 3 ივნისს ... ხელმძღვანელ მსახიობ პავლე ფრანგიშვილის ... ფისი გაიმართება. წარმოდგენილი იქნება აკაკ... რეთლის **„თამარ ცბიერი“**. დრამა 5 მოქმედებ...

---

დღეს 2-რე სახელმწიფო კონსერვატორ... გაიმართება ახალგაზრდა მხატვარ **შალვა შევარ...ძის** სამხატვრო სალიტერატურო საღამო.

---

უკანასკნელი წარმოდგენა ამ სეზონში ... მსახიობ დავით ჩხეიძის საბენეფისოდ, წარმოდ... ლი იქნება „სამანიშვილის დედინაცვალი“ ... კლდიაშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული ... სონ დადიანის მიერ, კოტე მარჯანიშვილის ... სორობით.

### შეცდომის გასწორება.

„ტრიბუნის“ გუშინდელ ნომერში (№ ... გაშვებულია შემდეგი კორექტურული შეც... დაბეჭდილია: გაზეთი კომუნისტი დ. დუმბაძის... რით გამოეხმაურა ამხ. სუხაძესო, უნდა იყოს: **დანიძის** პირითო და სხვა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გაზეთ
„ტ რ ი ბ უ ნ ი ს“
კანტორისაგან

ივნისის 1-დან „ტრიბუნა“

ეღირება:

თვიურად . . 1000,000 მ.
ცალკე ნომერი . 40,000 „

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 325 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. ნ-ყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. №